



ჩარჩო პროექტი მწვანე ქალაქები (GrCF2 W1) - თბილისის მეტროს მოდერნიზაცია

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	52586
ბიზნესის სექტორი:	მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა
შეტყობინების ტიპი:	სახელმწიფო
გარემოს დაცვის კატეგორია:	ბ
დამტკიცების თარიღი:	11 იანვარი 2023
სტატუსი:	დამტკიცებული
პროექტის მოკლე ანოტაციის გამოქვეყნების თარიღი:	28 ოქტომბერი 2022

პროექტის აღწერა

50.6 მილიონი ევროს ოდენობის სახელმწიფო სესხი საქართველოსთვის (ტრანშირებულად), რომლის გადასესხება მოხდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის („ქალაქი“) და მოხმარდება თბილისის სატრანსპორტო კომპანიის („კომპანია“) საჭიროებებს, რომელიც პასუხისმგებელია ავტობუსების, მეტროს სისტემისა და საბაგიროების მართვაზე.

პროექტის მიზნები

საინვესტიციო პროექტი გულისხმობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის საიმედოობის, უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის გაზრდას 12 მეტროსადგურის განახლებისა და რეაბილიტაციის გზით („პროექტი“).

პროექტი არის ფართო პროგრამის ნაწილი, რომლის მიზანია დაეხმაროს ქალაქს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის რეფორმირებაში, კერძოდ ავტობუსებისა და

მეტროს სისტემების განახლებისა და ქსელის რესტრუქტურის მემშვეობით.

გარდამავალი ეტაპის / გარდაქმნის ეფექტის ზემოქმედება

ETI ქულა: 70

პროექტი არის მწვანე ქალაქები 2-ის ("GrCF2") ნაწილი და თბილისის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის ("GCAP") შემდგომი ინვესტიცია.

GrCF2-ის უპირველესი მიზანია მიაღწიოს მნიშვნელოვან გარემოსდაცვით გაუმჯობესებას და გარდამავალი ეტაპის „მწვანე ხარისხის“ ხელშეწყობას შესაბამის ქალაქებში. GrCF2 ასევე მიზნად ისახავს საჭირო ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებისა და უკეთესი კოორდინაციისა და შესყიდვების პროცესის ხელშეწყობას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის შესაბამის ქალაქებში, რათა გააუმჯობესოს მიზნობრივი ინვესტიციებისა და ინიციატივების მმართველობა, საოპერაციო ეფექტიანობა და ფინანსური მდგრადობა. GrCF2-ის ფარგლებში, ბანკი აქცენტს გააკეთებს GCAP-ების შემდგომ განხორციელებაზე, რომლის ქვე-ინვესტიციების არანაკლებ ნახევარი, სავარაუდოდ, შემდგომი ტრანზაქციები იქნება, რომლებიც GCAP-ის მიერ გამოვლენილ კრიტიკულ გარემოსდაცვით გამოწვევებს ეხება. აღსანიშნავია, რომ თბილისი იყო ერთ-ერთი პირველი სამი ქალაქიდან, რომელიც შეუერთდა EBRD-ის მწვანე ქალაქების პროგრამას და ერთ-ერთი პირველი, ვინც დაასრულა GCAP-ის შემუშავება. დღეის მდგომარეობით, ქალაქი აქტიურად ახორციელებს GCAP-ით განსაზღვრული ქმედებების 89 პროცენტზე მეტს, როგორც EBRD-ის მხარდაჭერით, ასევე საკუთარი რესურსებით.

პროექტის გარდამავალი ეტაპის (გარდაქმნის ეფექტის) ზეგავლენა გამომდინარეობს „მწვანე“ და „კარგად მართული“ მახასიათებლებიდან. პროექტი ხელს შეუწყობს „მწვანე“ გარდამავალი ეტაპის (გარდაქმნის ეფექტის) პოპულარიზაციას საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემებზე გადასვლის წახალისებით და ამით ქალაქის სატრანსპორტო სექტორის გარემოზე ზემოქმედების შერბილების ხელშეწყობით. ეს იქნება დამატებითი ნაბიჯი, რომელსაც ქალაქი გადადგამს GCAP-ის განხორციელების და სხვა მდგრადობის ინიციატივებისა და პროგრამების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების კუთხით. გარდა ამისა, პროექტი ასევე ხელს შეუწყობს გარდამავალი ეტაპის „კარგად მართული“ მიზნის განხორციელებას აქტივების მართვის გაუმჯობესებული პრაქტიკის დანერგვის მეშვეობით.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

საქართველოს მთავრობა

საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს სახით.

პროექტს განახორციელებენ ქალაქი და კომპანია.

EBRD-ის დაფინანსება

50,600,000.00 ევრო.

50.6 მილიონი ევროს ოდენობის სახელმწიფო სესხი საქართველოსთვის, რომელიც დაყოფილია ორ ტრანშად:

- 1-ელი ტრანში 30.305 მილიონ ევრომდე მეტროსადგურების პირველი პარტიის რეაბილიტაციისთვის (ძალაში შედის ხელმოწერისთანავე)

- მე-2 ტრანში 20.295 მილიონ ევრომდე მეტროსადგურების მეორე პარტიის რეაბილიტაციისთვის (ძალაში შედის შემდგომ ეტაპზე)

პროექტის მთლიანი ღირებულება

50,600,000.00 ევრო.

EBRD-ის სესხი თანადაფინანსდება 5 მილიონ ევრომდე საინვესტიციო გრანტით „მწვანე კლიმატის ფონდისგან“.

ასევე, ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება დახმარება პროექტის მომზადებისა და განხორციელების მხარდასაჭერად.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

პროექტს მიენიჭა B კატეგორია 2019 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად. დადასტურებულია, რომ პროექტის თანმხლები რისკები და ზემოქმედება არის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული, ადვილად იდენტიფიცირებადი და შეიძლება შემარბილებელი ღონისძიებებით აღმოიფხვრას. გარემოს დაცვისა და სოციალურმა კვლევამ ("ESDD"), რომელიც განხორციელდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ("FS") ფარგლებში, გამოავლინა რისკები და ზემოქმედება, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მოდერნიზაციისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროგრამასთან. თუმცა, როგორც FS-ი წარმოადგენს სამუშაოების მხოლოდ წინასწარ დიზაინს ამ ეტაპზე, გარემოსა და სოციალური ("E&S") შეფასების დამატებით დახვეწა და მასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება პროექტის ციკლის შესაბამისად იქნება საჭირო.

მშენებლობა დაკავშირებულია კონტრაქტორის სამშენებლო სამუშაოებთან ასოცირებულ რისკებთან და ზემოქმედებასთან, როგორიცაა ხმაური, მტვერი, ვიბრაცია, სახიფათო მასალები (აზბესტის ჩათვლით) და მუშების უსაფრთხოება და საზოგადოებასთან ურთიერთობა. ეს მოითხოვს ფრთხილ მენეჯმენტს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემისა და მასთან დაკავშირებული E&S-ის მართვის გეგმების შემუშავების საფუძველზე, განსაკუთრებით კონტრაქტორის მართვისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმების მეშვეობით. ასევე არსებობს დროებითი შეფერხების საშიშროება მეტრო სადგურების მცირე მოვაჭრეებისთვის, რომლებიც განლაგებულია იმ ტერიტორიაზე, რომელიც ექვემდებარება სარეაბილიტაციო სამუშაოებს. მოსალოდნელია, რომ მსგავსი ზემოქმედების მართვა შესაძლებელი იქნება შესაბამისი კონსულტაციისა და შემარბილებელი ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც შედის გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმაში („ESAP“). ამავე დროს, ESAP-ი მოითხოვს ეს ზემოქმედებები შემდგომში დამატებით შეფასდეს დეტალური დიზაინის შემუშავების დროს და საჭიროების შემთხვევაში, საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა შემუშავებულ იქნას EBRD-ის მოთხოვნების შესაბამისად პროექტის შემდგომ ეტაპებზე, პროექტის განხორციელებამდე. სამი მეტრო სადგურისთვის ვიბრაციის დამატებითი შეფასება იქნება საჭირო, რათა დადასტურდეს, რომ მიმდებარე შენობების მთლიანობა არ დაზიანდება.

გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა („ESAP“) შემუშავებულია და მოიცავს ნებისმიერი ნარჩენი რისკების რაოდენობრივად განსაზღვრის ვალდებულებას, ასევე შემარბილებელი ღონისძიებებისთვის საჭირო ყველა მართვის გეგმის შემუშავებისა და

განხორციელების მოთხოვნას. პროექტის განმახორციელებელი განყოფილება („PIU“) შეიქმნება სამუშაოების პროგრამისთვის. ESAP ავალდებულებს PIU-ს შეიმუშავოს გეგმების ყოვლისმომცველი ნაკრები და ადეკვატური ზედამხედველობა გაუწიოს სამშენებლო სამუშაოებს და კონტრაქტორებს. მსგავსი გარანტიები ასახულია დიზაინის ფაზის დოკუმენტებში და ბანკი მჭიდრო მონიტორინგს გაუწევს PIU-ს მიერ ESAP-ის განხორციელებას, ასევე პროექტის შემდგომ ეტაპებს.

ტექნიკური თანამშრომლობა

აღნიშნული პროექტი მოიცავს შემდეგი სახის ტექნიკური თანამშრომლობის ("TC") დავალებებს:

- **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა.** დავალების ღირებულება შეადგენს 460,060 ევროს, დაფინანსებულია EBRD-ის აქციონერთა სპეციალური ფონდის („SSF“) მიერ.
- **შესყიდვების მხარდაჭერა.** დავალების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 74,900 ევროს, რომელიც მოსალოდნელია, რომ დაფინანსდება საერთაშორისო დონორის და/ან SSF-ის მიერ.
- **პროექტის განხორციელების მხარდაჭერა.** დავალების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 2,300,000 ევროს, რომელიც მოსალოდნელია, რომ დაფინანსდება ნაწილობრივ სესხის თანხებიდან და ნაწილობრივ საერთაშორისო დონორის და/ან SSF-ის მიერ.
- **აქტივების მართვის გეგმის შემუშავება.** დავალების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 450,000 ევროს, რომელიც მოსალოდნელია, რომ დაფინანსდება საერთაშორისო დონორის და/ან SSF-ის მიერ.

დამატებითი ფაქტორები

პროექტი იქნება კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი ქალაქისთვის GCAP-ის განსახორციელებლად და სხვა მდგრადობის ინიციატივებისა და პროგრამების წინაშე აღებული ვალდებულებების შესასრულებლად.

EBRD სთავაზობს დაფინანსებას, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი ბაზარზე კომერციული წყაროებიდან გონივრული პირობებით. გარდა ამისა, EBRD-ის კომპეტენტურობა სექტორში ხელს შეუწყობს უფრო მაღალი სტანდარტების გამოყენებას.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

თამარ მაჭავარიანი

tmachavariani@metro.ge

+995322357777

<http://ttc.com.ge/>

თბილისის სატრანსპორტო კომპანია

სადგურის მოედანი 2, თბილისი 0112, საქართველო

შუალედური შედეგი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის შუალედური შედეგების გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია [აქ](#).

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ [EBRD Procurement](#).

ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით](#).

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

[ESP](#)-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები

დაინტერესებულ მხარეებთან და განხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია [ESP](#)-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტანდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. [თითოეულ ასეთ შემთხვევაში](#), OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ [ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს](#).

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით](#).

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის

გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში [გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა](#) და [ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის](#) კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ [პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს](#), IPAM-ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა [წარადგინოთ მოთხოვნა](#) განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM-ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.